5

**შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N32060201/05/198-1**

(სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ და შ.პ.ს. „სვირი +“-ს შორის 2016 წლის 15 დეკემბერს გაფორმებული N32060201/05/194 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ)

**CMR160213508**

ქ. თბილისი 05 იანვარი 2017 წელი.

ერთის მხრივ, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი შალუტაშვილის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „სვირი +“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბექა ჭულუხაძე სახით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ $7^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მხარეთა შორის 2016 წლის 15 დეკემბერს გაფორმებული N32060201/05/198 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების XII მუხლის და ს.ს.ი.პ. „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ სამშენებლო-საპროექტო სამსახურის 2016 წლის 30 დეკემბრის N1546831 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით შევთანხმდით შემდეგზე:

**აღწერილობითი ნაწილი:**

2016 წლის 15 დეკემბერს გაფორმებული N32060201/05/198 ხელშეკრულების საფუძველზე, შ.პ.ს. „სვირი +“ ახორციელებს ქ. ქუთაისის N15 სკოლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რომლის დასრულების ვადად განსაზღვრულია 2016 წლის 24 დეკემბერი.

2016 წლის 26 დეკემბრის №1527703 წერილით შ.პ.ს. „სვირი+“ სააგენტოს აცნობა, რომ უხვი ნალექისა და დიდთოვლობის გამო ვერ უზრუნველყო ქ. ქუთაისის N15 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება და ითხოვა დამატებით 14 კალენდარული დღე, საჯარიმო სანქციების გამოყენების გარეშე

2016 წლის 27 დეკემბერს სააგენტოს სამშენებლო-საპროექტო სამსახურის თანამშრომელის, მიმწოდებელი კომპანიის წარმომადგენელისა და ქ. ქუთაისის N15 საჯარო სკოლის დირექტორის მიერ შედგენილი იქნა აქტი, სადაც აღნიშნულია რომ მიმდინარე წლის 15 დეკემბრიდან 22 დეკემბრის ჩათვლით იყო უხვი ნალექი, რის გამოც ვერ მოხერხდა რბილი გადახურვის მოწყობა (აქტი თან ერთვის).

სააგენტოს სამშენებლო-საპროექტო სამსახურმა განიხილა აღნიშნული საკითხი და შესამლებლად მიიჩნია სამშენებლო კომპანიას ქ. ქუთაისის N15 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასასრულებლად მიეცეს დამატებით 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღე, საჯარიმო სანქციების გამოყენების გარეშე.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:**

1. შ.პ.ს. „სვირი +“-ს ქ. ქუთაისის N15 საჯარო სკოლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებისათვის გაუგრძელდეს ვადა 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით, 2016 წლის 25 დეკემბრიდან 2017 წლის 07 იანვრის ჩათვლით, საჯარიმო სანქციების გამოყენების გარეშე.
2. მხარეთა შორის 2016 წლის 15 დეკემბერს გაფორმებული 32060201/05/198 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების 4.1. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4.1. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადად განსაზღვრულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 (ოცდაოთხი) კალენდარული დღე, 2017 წლის 07 იანვრის ჩათვლით.
3. მხარეთა შორის 2016 წლის 15 დეკემბერს გაფორმებული 32060201/05/198 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების XI მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„XI ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2017 წლის 09 მარტის ჩათვლით".

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მხარეთა შორის 2016 წლის 15 დეკემბერს გაფორმებული 32060201/05/198 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენას.

5. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები დარჩეს უცვლელი.

6. შეთანხმება შედგენილია სამი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს ხოლო ორი რჩება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი შალუტაშვილი

(ხელმოწერა, ბეჭედი)

შ.პ.ს. „სვირი +"-ს დირექტორი ბექა ჭულუხაძე

(ხელმოწერა, ბეჭედი)

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო

ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

MES 4 16 01546831

30/12/2016

**საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის**
**განვითარების სააგენტოს დირექტორს**
**მ/შ ბატონ გიორგი შალუტაშვილს**

## სამსახურებრივი ბარათი

**ბატონო გიორგი,**

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან 2016 წლის 15 დეკემბერს ფაფორმებული №32060201/05/198 ხელშეკრულების, საფუძველზე, ღირებულებით 6772,67 ლარი (გამარტივებული შესყიდვა) შ.პ.ს ,, სვირი+"-მ აიღო ვალდებულება ქ.ქუთაისის N15 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. დასრულების ვადად განსაზღვრული იყო 2016 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით

2016 წლის 22 დეკემბერს სამსახურის მენეჯერის სერგი ხიზანიშვილის, მშენებლის და ქ.ქუთაისის N15 საჯარო სკოლის დირექტორის მიერ შედგენილი იქნა აქტი, სადაც აღნიშნულია რომ მიმდინარე წლის 15 დეკემბრიდან 22 დეკემრის ჩათვლით იყო ნალექი რის გამოც ვერ მოხერდა რბილი გადახურვის მოწყობა. (აქტი თან ერთვის)

2016 წლის 26 დეკემბრის №1527703 წერილით, შ.პ.ს. „სვირი+" ღნიშნავს რომ უხვი ნალექისა და დიდთოვლობის გამო ვერ უზრუნველყო ქ. ქუთაისის N15 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება და ითხოვა დამატებით 14 კალენდარული დღე, ფინანსური სანქციების გარეშე .
სააგენტომ იმსჯელა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესახებ (შ.პ.ს ,,სვირი+" N1527703 წერილი აქტიN1) , და შესაძლებლად მიიჩნია მიეცეს მშენებელს 14 კალენდარული დღე საჯარიმო სანქციების გარეშე.
გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას
საფუძველი: შ.პ.ს ,,სვირი+" N1527703 წერილი აქტი N1
პატივისცემით

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო /
სამშენებლო-საპროექტო სამსახური
სამსახურის უფროსი
მერაბ ჭონიაშვილი

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორს
მ/შ ბატონ გიორგი შალუტაშვილს

# სამსახურებრივი ბარათი

ბატონო გიორგი,

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან 2016 წლის 15 დეკემბერს ფაფორმებული №32060201/05/198 ხელშეკრულების, საფუძველზე, ღირებულებით 6772,67 ლარი (გამარტივებული შესყიდვა) შ.პ.ს ,, სვირი+''-მ აიღო ვალდებულება ქ.ქუთაისის N15 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. დასრულების ვადად განსაზღვრული იყო 2016 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით

2016 წლის 22 დეკემბერს სამსახურის მენეჯერის სერგი ხიზანიშვილის, მშენებლის და ქ.ქუთაისის N15 ~~საჯარო სკოლის დირექტორის მიერ შედგენილი იქნა აქტი, სადაც აღნიშნულია რომ მიმდინარე წლის 15~~ დეკემბრიდან 22 დეკემრის ჩათვლით იყო ნალექი რის გამოც ვერ მოხერდა რბილი გადახურვის მოწყობა. (აქტი თან ერთვის)

2016 წლის 26 დეკემბრის №1527703 წერილით, შ.პ.ს. „სვირი+" ღნიშნავს რომ უხვი ნალექისა და დიდთოვლობის გამო ვერ უზრუნველყო ქ. ქუთაისის N15 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება და ითხოვა დამატებით 14 კალენდარული დღე, ფინანსური სანქციების გარეშე .
სააგენტომ იმსჯელა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესახებ (შ.პ.ს ,,სვირი+'' N1527703 წერილი აქტიN1) , და შესაძლებლად მიიჩნია მიეცეს მშენებელს 14 კალენდარული დღე საჯარიმო სანქციების გარეშე.
გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას
საფუძველი: შ.პ.ს ,,სვირი+'' N1527703 წერილი აქტი N1

მერაბ ჭონიაშვილი
სამშენებლო-საპროექტო
სამსახურის უფროსი

თეიმურაზ მაჩაიძე
დირექტორის მოადგილე

სერგი ხიზანიშვილი
სამშენებლო -საპროექტო
სამსახურის მენეჯერი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამშენებლო კომპანია
შ. პ. ს. „სვირი+"

G E O R G I A
BUILDING COMPANY
L. T. D. „Sviri+"

ქუთაისი, თაბუკაშვილის 36/26, ს/კ 212916932, ტელ.599170714, ელ.ფოსტა beqa27@yahoo.com

# 16/8-1

26/დეკემბერი/ 2016 წ.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს
დირექტორის პირველ მოადგილეს
ბატონ გიორგი შალუტაშვილს

ბატონო გიორგი,

როგორც თქვენთვის ცნობილია ვაწარმოებთ ქუთაისის N15 საჯარო სკოლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ხელშეკრულება N32060201/05/198 საფუძველზე.

მოგახსენებთ რომ, მოსაწყობია ორი ფენა ლინოკრომის სახურავი, სამუშაოს შესასრულებლად კი ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო 10 დღე რომელიც დასრულდა ამა წლის 24 დეკემბერს. ამ ხნის განმავლობაში რთული მეტეოროლოგიური პირობების (თოვლისა და ყინვის) გამო ვერ მოხერხდა აღნიშნული სამუშაოს შესრულება, რადგანაც არსებული სილაცემენტის მოჭიმვა სველია და ასეთ პირობებში სამუშაო შესრულდება უხარისხოდ.

წარმოგიდგენთ შესაბამის აქტს რომელიც თან ერთვის წერილს და გთხოვთ, სამუშაოების შესრულების ვადა გაგვიგრძელოთ 14 დღით საჯარიმო სანქციების გამოყენების გარეშე.

დანართი აქტი N1

პატივისცემით
შ.პ.ს. „სვირი+„ დირექტორი ბექა ჭულუხაძე

შპს სვირი +
212916932

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
შემოსული N 1527703
26. 12 . 2016 წ

## აქტი N1

22/12/2017

ქ. ქუთაისი

ქ. ქუთაისის N15 საჯარო სკოლის დირექტორი ელისო ჯიბლაძე, შპს „სვირი +"-ს დირექტორი ბექა ჭულუხაძე და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სამშენებლო საპროექტო სამსახურის მენეჯერი სერგი ხიზანიშვილი ვადასტურებთ, რომ მიმდინარე წლის 15 დეკემბრიდან 22 დეკემბრის ჩათვლით იყო დიდთოვლობა და უხვი ნალექი, რის გამოც ტექნოლოგიურად გაუმართლებელია რბილი გადახურვის მოწყობა (2 დღე არ არის საკმარისი ცემენტის ხსნარით მოჭიმვის სრული გამოშრობისთვის).

ქ. ქუთაისის N 15 საჯარო სკოლის

დირექტორი ე. ჯიბლაძე

შპს „სვირი +"-ს

დირექტორი ბ. ჭულუხაძე

შპს სვირი + 212916932

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის

განვითარების სააგენტოს

სამშენებლო საპროექტო სამსახურის

მენეჯერი ს. ხიზანიშვილი